

2024 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს ქლოენტსაი

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

- ზოგადი ინფორმაცია
- მომზადების საფუძველი
- მსს ფასს-ზე გადასვლა
- კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა
- ფული და ფულის ექვივალენტები
- გადახდილი ავანსები
- ძირითადი საშუალებები
- გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი
- შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან
- ხელფასები და სხვა სარგებელი
- ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი
- ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან
- საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	184,369	150,558
სულ გრძელვადიანი აქტივები		184,369	150,558
გაცემული ავანსები	6	276,986	96,721
სხვა მიმდინარე აქტივები		90	-
ფული და ფულის ექვივალენტები	5	67,518	132,636
სულ მოკლევადიანი აქტივები		344,594	229,357
სულ აქტივები		528,963	379,915
კაპიტალი			
განთავსებული კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		503,694	219,676
სულ კაპიტალი		503,694	219,676
გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
კრედიტორული და სხვა ვალდებულებები		16,726	17,899
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი	8	-	132,898
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		8,543	9,442
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		25,269	160,239
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		528,963	379,915

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს „კლიენტსაი“-ის სახელით 2025 წლის 29 სექტემბერი

შპს „კლიენტსაი“ დირექტორი თორნიკე ჯერჯეუნიშვილი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სრული შემოსავლის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

ლარი	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან	9	4,361,825	3,063,264
ხელფასები და სხვა სარგებელი	10	(2,897,217)	(2,528,502)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	11	(1,077,014)	(638,406)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		-	6
მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობამდე		387,594	(103,638)
ვალუტის გადაფასებიდან მიღებული ზარალი		(103,576)	(68,510)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		284,018	(172,148)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება (ზარალი)		284,018	(172,148)

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

ლარი	განთავსებული კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 1 იანვარი 2023	-	391,824	391,824
შენატანი და განაწილებები			
დივიდენდები	-	-	-
განთავსებული კაპიტალი ზრდა	-	-	-
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)	-	(172,148)	(172,148)
ბალანსი 31 დეკემბერი 2023	-	219,676	219,676
შენატანი და განაწილებები			
დივიდენდები	-	-	-
განთავსებული კაპიტალი ზრდა	-	-	-
მიმდინარე წლის მოგება/(ზარალი)	-	284,018	284,018
ბალანსი 31 დეკემბერი 2024	-	503,694	503,694

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ქლიენტსაი დაფუძნდა 2021 წლის 30 ივნისს და რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი, ბახტრიონის ქუჩა, N 22, ბინა 75. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 405470119. კომპანიის 100%-ის მფლობელია შპს დილგან კონსალტინგი, 15590880 /დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო.

ანგარიშგების ხელმოწერისას კომპანიის დირექტორი არის თორნიკე ჩერქეზიშვილი - საქართველოს მოქალაქე (საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისას კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი და დირექტორი იყო მარიამი ყულიაშვილი, 01801122926 /ორმაგი მოქალაქე საქართველო, რუსეთის ფედერაცია).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მომხმარებელთა მხარდაჭერის მომსახურება (საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული მომსახურების სხვა საქმიანობები).

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე. ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. მსს ფასს-ზე გადასვლა

მსს ფასსზე გადასვლია თარიღია 2023 წლის 1 იანვარი. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება იყო კომპანიის პირველი ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებული იყო მსს ფასს-ის შესაბამისად.

4. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი ("GEL").

უცხოურ ვალუტაში ჩატარებული ოპერაციების ასახვა ხდება ოპერაციის ჩატარების დღეს მოქმედი გაცვლითი კურსის მიხედვით. ასეთი ოპერაციების ჩატარებით მიღებული მოგება-ზარალი აისახება შემოსავლების ანგარიშგებაში.

2024 წლის 31 დეკემბერს, უცხო ვალუტის ნაშთების ლარში გადაყვანის მიზნით გამოყენებულ იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი შემდეგი გაცვლითი კურსები:

31/12/2023 1 აშშ დოლარი= 2.6894 ლარი.

31/12/2023 1 ევრო= 2.9753 ლარი.

31/12/2024 1 აშშ დოლარი= 2.8068 ლარი.

31/12/2024 1 ევრო= 2.9306 ლარი.

წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ლარში.

ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს-ის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების ვადა; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით. 2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ პირებზე. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

შემოსავალი

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი ფასდათმობა. როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. შემოსავალი არ აღიარდება, როდესაც საქონელი და

მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირების, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს ოფისის, კომუნალურ, იჯარის და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

5. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

კომპანიას ფული განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე.

ლარი	2024წ. 31 დეკემბერი	2023წ. 31 დეკემბერი
ლარში განთავსებული	1,353	6,704
უცხოურ ვალუტაში განთავსებული	66,165	125,932
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები:	67,518	132,636

6. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსების ჩაშლა შემდეგია:

ლარი	2024 წელი	2023 წელი
ავანსად გადახდილი საიჯარო ქირა	274,272	92,401
სხვა გადახდილი ავანსები	2,714	4,320
სულ	276,986	96,721

7. ძირითადი საშუალებები

'000 ლარი ღირებულება	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2023	164,934	54,885	219,819
დამატება	20,296	7,455	27,751
გასვლა	-	-	-
გადაჯგუფება	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	185,230	62,340	247,570
ნაშთი 1 იანვარი 2024	185,230	62,340	247,570
დამატება	39,130	50,794	89,924
გასვლა	(1,630)	-	(1,630)
გადაჯგუფება	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	222,730	113,134	335,864
ცვეთა და ამორტიზაცია			
ნაშთი 1 იანვარი 2023	37,729	11,879	49,608
წლის დარიცხული ცვეთა	35,639	11,765	47,404
დამატება	-	-	-
გასვლა	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	73,368	23,644	97,012
ნაშთი 1 იანვარი 2024	73,368	23,644	97,012
წლის დარიცხული ცვეთა	39,115	15,368	54,483
დამატება	-	-	-
გასვლა	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	112,483	39,012	151,495
საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2022	127,205	43,006	170,211
31 დეკემბერი 2023	111,862	38,696	150,558
31 დეკემბერი 2024	110,247	74,122	184,369

8. გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი

ლარი	2024წ. 31 დეკემბერი	2023წ. 31 დეკემბერი
გადასახდელი ხელფასები	-	120,440
გადასახდელი სხვა სარგებელი	-	12,458
სულ	-	132,898

9. შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან

კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს მომხმარებელთა მხარდაჭერის მომსახურებით მიღებული შემოსავალი. 2024 წლის განმავლობაში კომპანია მომსახურებას უწევდა 6 კომპანიას (როგორც რეზიდენტ, ასევე არარეზიდენტ კომპანიებს).

10. ხელფასები და სხვა სარგებელი

ლარი	2024 წელი	2023 წელი
ხელფასის ხარჯი	2,832,571	2,418,215
სხვა სარგებელი	64,646	110,287
სულ	2,897,217	2,528,502

11. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

ლარი	2024 წელი	2023 წელი
იჯარის ხარჯი	596,964	256,299
კომუნალური ხარჯი	113,453	92,439
საკონსულტაციო ხარჯი	38,894	77,291
ოფისის ხარჯი	93,461	60,104
დაზღვევის ხარჯი	77,088	55,830
ძირითადი საშუალებების ცვეთა	54,483	47,404
საბანკო ხარჯი	7,897	5,760
სხვა ხარჯი	94,774	43,279
სულ	1,077,014	638,406

12. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ლარი	2024	2023
ხელფასი და სარგებელი	204,750	135,106
სულ ძირითადი მენეჯმენტის ანაზღაურება	204,750	135,106

2024 წელს დაკავშირებული არარეზიდენტი კომპანიისათვის გაწეული მომსახურება შეადგენს 1 445 907 ლარს

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2025 წლის მაისიდან შეიცვალა კომპანიის მესაკუთრე და დირექტორი:

- კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი გახდა: - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს დილგან კონსალტინგი, 15590880 /დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო.
- კომპანიის დირექტორი გახდა თორნიკე ჩერქეზიშვილი (საქართველოს მოქალაქე).

კომპანიას არ ჰქონია სხვა მაკორექტირებელი ან არამაკორექტირებელი ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც საჭიროებდნენ გაშიფვრას ფინანსურ ანგარიშგებაში.